

მშობელთა ეფექტური ჩართულობის გზები თვითშეფასების პროცესში

ნინო დოლიძე

ნაზიბროლა ქაჯაია

ნინო ზაქაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური არისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ბერიკა შუკაკიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ნინო დოლიძე

ნაზიბროლა ქაჯაია

ნინო ზაქაშვილი

26.06.2021

აბსტრაქტი

ნაშრომი წარმოადგენს სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის №2 საჯარო სკოლაში განხორციელებული პრაქტიკის კვლევის ანგარიშს, რომელიც განხორციელდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში. კვლევის მიზანია, შესწავლილი ლიტერატურისა და კვლევის შედეგების საფუძველზე, მშობელთა ეფექტური ჩართულობის გზების შემუშავება თვითშეფასების პროცესში.

საქართველოში სკოლის თვითშეფასების პროცესი სიახლეს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ კორბოულის №2 საჯარო სკოლას აქვს თვითშეფასების განხორციელების გამოცდილება პროექტის “სკოლის თვითშეფასება განვითარებისთვის” ფარგლებში, მათთვის მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა ამ პროცესში მშობელთა ჩართულობა.

სასკოლო თემთან თანამშრომლობით, ვიკვლიეთ პრობლემის გამომწვევი მიზეზები და გადაჭრის გზები. საერთაშორისო გამოცდილებისა და კვლევის შედეგების საფუძველზე ერთობლივად შევიმუშავეთ ხუთსაფეხურიანი მოდელი, რომელიც წარმოადგენს ციკლურ პროცესს და მოიცავს შემდგომ ეტაპებს: სასკოლო თემის ინფორმირება, მშობელთა როლის განსაზღვრა კომპეტენციების შესაბამისად, პროცესში მონაწილეობის ფორმის განსაზღვრა, შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავება და შედეგების გაზიარება სასკოლო თემისთვის. მოდელის ძირითად პრინციპს წარმოადგენს რეფლექსურობა, რომელიც უზრუნველყოფს თემის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებას პროცესის განმავლობაში.

აღნიშნულ ნაშრომში წარმოდგენილია თითოეული ეტაპის განხორციელების პროცესი, შედეგები და რეკომენდაციები, რომელიც ქმნის თვითშეფასებაში მშობელთა ჩართულობის მაგალითს სხვა სკოლებისთვის.

საკვანძო (საძიებო) სიტყვები: პრაქტიკის კვლევა, ხარისხის მართვა, სკოლის თვითშეფასება, თვითშეფასების ჯგუფი, მშობელთა ჩართულობა, მშობლის როლი თვითშეფასებაში.

Abstract

The thesis is a report of internship held in school №2, village Korbouli Sachkhere municipality. The work was carried out within the framework of the master of education administration program of Business, Technologies and education faculty in Ilia State University. The aim of the research is to develop ways for effective parental involvement in the school self evaluation processes, based on literature and examination results.

The school self evaluation process is a novelty in Georgia. Although school №2 in Korbouli has experience in conducting self evaluation as a part of “school self evaluation development” project, parent involvement has been a significant challenge for them.

In collaboration with the school community, we explored the causes of the problem and ways to solve it. Based on international experience and research results, we have developed a five-step model, which includes the following stages: Informing school community; Defining parent’s role according to their competencies; Defining forms of participation in the processes; Developing appropriate tools and sharing results to school community. The main principle of the model is reflexivity, which ensures that interests and needs of the community are taken into account.

In this research the implementation of each stage, outcomes, and recommendations are shown. Which sets an example for parental involvement in self evaluation for other schools.

Keywords: Action research, quality management, school self evaluation, self evaluation group, parent involvement, parent role in self evaluation.